

(სსმ III, 14.08. 2008 N 117 მუხ.1251)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
220.010.000.18.011.012.107

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 209
2008 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი**

**“კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების
განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 26
დეკემბრის N 304 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების
შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 26 დეკემბრის N 304 ბრძანება “კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ აქტით რეგულირებული ურთიერთობები სსიპ „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ კომპეტენციის სფეროშია და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ მიიღო შესაბამისი მარეგულირებელი აქტი.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

დ. ამაღლობელი